ოქმი:**ო02. 3723326001**

თარიღი:**22/11/2023**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-

ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

2023 წელი, 21 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ.ტუღუში; ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, ნ. სარჯველაძე, ვლ. ხავთასი, ტ. აროშიძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე
თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, აღნიშნა 2024 წლის ბიუჯეტი სავარაუდოდ დაიგეგმება 37მილიონ 725 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4 მილიონი ლარით, აქედან საკუთარი შემოსავლები იქნება 37 მილიონ 250 ათასი ლარი. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია იმ დარგებისა და პროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციონალურად ექვემდებარება დარგობრივ კომისიას, განაცხადა, რომ ზოგიერთი ცვლილება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელდა მერიის სამსახურების ინიციატივით, ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებას დაემატება დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი ბიუჯეტში ე.წ. ნარჩენი თანხების ასახვის შემდეგ. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ, დასვა შეკითხვა მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტების განსაზღვრის თაობაზე, განუმარტეს, რომ მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს ამ საკითხზე და უახლოს დროში შემოიტანს საკრებულოში დოკუმენტს. სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ გამოთქვა აზრი, რომ სოფლების შიდა გზების მოხრეშვისათვის გამოყოფილი თანხები არასაკმარისია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი